ამბები ენგურს გაღმიდან

ლევან მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი
LEPL SHOTA MESKHIA ZUGDIDI STATE UNIVERSITY

სსიპ შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტი

ამბები ენგურს გაღმიდან

ზუგდიდი

2019 წ

იქ, ენგურს გაღმა, ოკუპირებულ ტერიტორიაზე ულევი სატკივარია... და მაინც, მტერმა ვერ ჩაახშო თავისუფლების წყურვილი. ოკუპანტებმა სცადეს აბიტურიენტები არ გამოეშვათ ეროვნულ გამოცდებზე. ახალგაზრდები სხვადასხვა გზით ცდილობდნენ გამოღწევას. საკმაოდ გახმაურებული იყო სამურზაყანოში სკოლადამთავრებული ოთხი თანაკლასელის დეფაქტო საზღვარზე გადმოპარვის ინციდენტი... ისინი რუსის სალდათებმა შეამჩნიეს, მოსდევდნენ; ხელის გაწვდენაზე ქართველი მესაზღვრეები იდგნენ, ამხნევებდნენ. ერთ-ერთმა ჭაბუკმა მავთულხლართზე მაჯა დაისერა... გამოაღწიეს, საზღვარზე სასწრაფო დახმარების ეკიპაჟი დაახვედრეს. საზღვარგადმოლახულებს ,,სამშობლოდან სამშობლოში გამოპარულები" უწოდეს და ასეთნი ბევრნი იყვნენ.

მთავრობის კეთილი ნებით, საბედნიეროდ, თითოეული აბიტურიენტი, ვინც მოამურა ქართულ უნივერსიტეტებს, მიმდინარე სასწავლო წელს სტუდენტი გახდა. ეს უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია... ,,სამშობლოდან სამშობლოში გამოშურებულთ" მოაქვთ დაპყრობილი აფხაზეთის უსაზღვრო ტკივილი, ოკუპანტის დამპყრობლური პოლიტიკით ნაკვები სევდა, ამასთანავე მტრობით, რუსის ტყვიით ვერდამარცხებული მეგობრობა, თანაზიარობა ქართველისა და აფხაზისა... თითოეული მათგანის მონაყოლი საწიგნე მასალაა, არა მხოლოდ მონაყოლი ეპიზოდი.

იქ, ენგურს გაღმა, ბავშვობას შიში და განსაცდელია ადევნებული. როცა თანაგრძნობით უსმენ, ჭაბუკები ადრე დაკაცებულის სევდიანი მზერით გეტყვიან, ჩვენ უარესიც გადაგვიტანიაო... გოგონები ცრემლიანი თვალებით აღნიშნავენ: თქვენ ენგურს გამოღმა წარმოდგენა არ გაქვთ, როგორ ახშობენ თავისუფლებას ენგურს გაღმაო.

უკვე ახალი ფურცელი გადაიშალა - ცხადი გახდა, რუსი ოკუპანტები ვერ ჩაახშობენ თავისუფალ სულს, ცნობიერების დონეზე მაინც ქართველს ვერ წაართმევენ სამშობლოში სამშობლოს... მოვიდა თაობა, მათ მოიტანეს ამბები ენგურს გაღმიდან, ასევე წყურვილი იქიდან ოკუპანტების განდევნისა...

კრებულში ენგურსგაღმელი აბიტურიენტების განცდები და დიდი სატკივარია ასახული. ისინი მიმდინარე წელს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სკოლისშემდგომი მომზადების პროგრამის გავლის შემდეგ სტუდენტები გახდნენ. მშობლიური ენის სწავლების აკრძალვამ გარკვეული კვალი დაატყო მათ ლექსიკას, თუმცა, ვერ შეცვალა უმთავრესი - მამულის სიყვარული და ერთგულება.

რედაქტორი ნესტან ფიფია

© შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი 2019

კოშკურებიანი ენგურის ხიდი

მალე ახალი წელი დადგება. ყველას საკუთარ სახლში მოუხარია, რათა ოჯახის წევრებთან ერთად შეხვდეს ახალ წელს. ენგურის გამოღმა ნაპირზე შინ დაბრუნების მსურველი დაახლოებით 30 ადამიანი ელოდება ზარს თანასოფლელებისგან, რომლებიც სახლის სახურავებიდან ადევნებენ თვალს რუსი მესაზღვრეების გადაადგილებას და როცა მოთვალთვალეებს ეგონათ, რომ საბოლოოდ დატოვეს სათვალთვალო პუნქტი ჯარისკაცებმა და არაფერი დააბრკოლებდათ „საზღვარზე" დაურეკეს და აცნობეს რომ რუსები მოშორდნენ საკონტროლო პერიმეტრს, უკვე შეეძლოთ წამოსულიყვნენ. თურმე ამ ყველაფრის მიღმა რუსული ხაფანგი იმალებოდა. ხალხი დაიძრა თუ არა, მაშინვე უკან დაბრუნდა მანქანა და ხალხი მახეში მოაქცია. აქ იყვნენ ქალები, ბავშვები, კაცები და ორი ყმაწვილკაცი, რომლებმაც გადაწყვიტეს გამოქცეოდნენ ჯარისკაცებს. მდინარე უკვე გადმოლახული ჰქონდათ და სულ რაღაც 1 კილომეტრი აშორებდათ საკუთარ სახლს. ხეობიდან რომ გამოაღწიეს, შეამჩნიეს რუსებმა. დაყარეს ყველაფერი და გაეკიდნენ. ხეობიდან რომ ამოვიდნენ, დახვდათ თვალუწვდენელი მინდორი. აქ უფრო მარტივი იქნებოდა მათი დაჭერა, მაგრამ ბიჭები არ ნებდებიან მირბიან მთელი ძალით, გაბედულად, რადგან მიუხედავად იმისა, რომ მესაზღვრეებს იარაღის გამოყენების უფლება არ აქვთ, არაფერია გამორიცხული რადგან უკიდურესად გაღიზიანებულები არიან. თან ფოტოებს უღებენ, რომ მათი სახეები არ დაავიწყდეთ და შემდეგ ძებნა გამოაცხადონ. როგორც იქნა გადმოირბინეს მინდორი ჭაბუკებმა თუმცა ჯერ კიდევ დიდი გზაა, მაშინ როცა მდევარი მოგსდევს, გადაწყვიტეს შემოვლითი გზით წასულიყვნენ რათა კვალი აერიათ „სალდათებისთვის". გამოიარეს ერთი, ორი სამი თხილნარი და თითქმის მოიშორეს მდევრები. ამასობაში მოხვდნენ უცნობი ადამიანის მანდარინის პლანტაციაში, ძაღლების ყეფამ მიიქცია ჯარისკაცების ყურადღება. ბიჭებმა გადაწყვიტეს რომ სხვადასხვა გზით წასვლა აჯობებდა უსაფრთხოებისთვის და აქ მათი გზები გაიყარა. (ჩემი ძმა წამოვიდა იქით, საითაც მოსახლეობა იყო, რადგან სირბილი აღარ შეეძლო ფეხი ჰქონდა ნატკენი. თავი ბოსელს შეაფარა, მის კვალს ჯარისკაცები გამოყვნენ. ეძებდნენ ყველგან და როდესაც ბოსელის კარი უნდა გამოეღოთ, ოჯახის დიასახლისმა უფლება არ მისცა მის საკუთრებაში შესულიყვნენ, ჩხუბი დაუწყო, დრო გაიყვანა კამათში. ამასობაში მდევრებს გამოქცეული უკანა კარიდან გავიდა და გაუსხლტა რუს ჯარისკაცებს. კარგა ხანი დაზაფრული იყო ჩვენი ოჯახი, თუ სურათის გადაღება მოახერხეს, ძებნას გამოაცხადებდნენ... საბედნიეროდ, გადავრჩით...

საფრთხე აღვწერე თითქოს, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. იმასთან შედარებით, რისი ატანა და გადატანა გიწევს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, როცა სამართლისა და სიმართლის ხმა იარაღს დაუდუმებია...

ენგურის ხიდი, რომელიც გაღმა-გამოღმა სამშობლოს აშორიშორებს, უსაშველოდ გრძელი და მძიმედ გადასალახია ხშირად... (არადა რეალურად უმოკლესი მანძილია)

როცა საკუთარი სამშობლოდან სამშობლოში გადადიხარ, აუცილებლად გჭირდება საბუთი, რომელიც არ იცი რისი მოწმობაა, მაგრამ აუცილებელია. საბუთები მეტად ძვირადღირებულია. თითო თავის დროზე 800 ლარად არის გაკეთებული, თუ გაგიმართლა და მასში შეცდომა არ აღმოჩნდა ანუ სქესში თუ მდედრობითის ნაცვლად მამრობითი არ ჩაგიწერეს, ან დაბადების თარიღი არ აერიათ „სრულიად შემთხვევით", ღმერთს მადლობა უნდა გადაუხადო თუ არა გიწევს ისევ თავიდან ჩააბარო საბუთის მოთხოვნა და, რა თქმა უნდა, ისევ თავიდან გადაიხადო. მოწმობებს ხშირად ცვლიან ეს სწრაფი და ადვილი ფულის გამომუშავების ერთ-ერთი გზაა ისევე, როგორც მაგალითად ე.წ."გაიშნიკები," რომლებიც ყველგან არიან და ხელის ჩამორთმევითა და ხელში 100 რუბლიანით უნდა შეეგებო. ახალი საბუთის აღებისას, რომელიც არის დროებითი მაცხოვრებელთათვის განკუთვნილი და გევალება აიღო, (თუმცა არ იცი, რატომ ხარ დროებითი მაცხოვრებელი, როცა საუკუნეების მანძილზე შენი წინაპრები აქ იყვნენ.) მისვლისთანავე პირველი რაც თვალში გვხვდება, არის ამდენი ემოციისგან დაცლილი ადამიანი, რომლებსაც შეწუხებული და შეშინებული სახე აქვთ. ვერც კი ხვდები, ისე შენც მსგავს სახეს იღებ და რამდენიმე წუთში მათნაირი ხდები, რადგან შენც უსიტყვოდ, მდუმარედ უნდა აიტანო, უსამართლობა, უგულისყურობა, უღირსობა. ვიდრე საბუთთან მიხვალ, გასავლელია გრძელი რიგი, სადაც დგანან ადამიანები დილის 7 საათიდან და ელოდებიან როდის გაიღება რკინის კარები, მის მიღმა აფხაზი ბიჭი ზის, ტელეფონზე თამაშობს და საკმარისია კარებზე ფრთხილად დააკაკუნო, რომ გამოვარდეს და გიყვიროს; დაკავებული ვარ, ნუ მაწუხებთო. საბუთის აღება ენგურს გაღმა გადმოსასვლელად? ამ ამბავს მხოლოდ ერთი ადამიანი თუ შველის, შუამავალი! იგულისხმება ქრთამის მიმწოდებელი. მშვიდობის გზების ძიებისთვის იმედი ერთადერთია, რამაც დღევანდელ დღემდე მოგვიყვანა, რომ არა ეს საოცარი გრძნობა, არ ვიცი რა გაუძლებდა ამ მოუშუშებელი იარის მძაფრ ტკივილს. ნათქვამია, „ოცნებას კაცი არ მოუკლავსო" ... ჰო! მეც მიყვარს ღამღამობით ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ყურება და ოცნება. მეოცნებება უკოშკურებო ენგურის ხიდი, აფხაზის და ქართველის სამურზაყანო რუსის ჩექმის გარეშე...

მშვიდობის ფრესკა

მე უშუალოდ არ მახსოვს აფხაზებისა და ქართველების საბრძოლო მოქმედებების პერიოდი, რადგან ამ დროს ძალზე პატარა ვიყავი, მაგრამ მის შედეგებზე შემიძლია ვიმსჯელო... ომი საშინელებაა, დანგრეული და გადამწვარი სახლებია. ომი სიკვდილია, ცრემლია, სამგლოვიარო ძაძაა. დიახ, ყველაზე მეტად შავძაძიანი ქალებით ვუყურებ ომს და მეშინია, მეშინია, რომ კვლავ არ დაიძრას ეს აისბერგი და ისევ ახალი სისხლი არ დაიღვაროს. ვეძებ ადამიანებში მიმტევებლურ ბუნებას. ვხედავ, რომ ბევრი ჩემი ჩანახატის გმირი მართლაც მოტყუებით იყო ჩართული ამ ომში. მათ იციან მშვიდობის ფასი. იციან, რომ სისხლი სისხლით არც დაბანილა და არც დაიბანება. ვგრძნობ, რომ მშვიდობას შეუცვლელი ადგილი უკავია ადამიანთა ცხოვრებაში. მე შევეცადე ჩემი გრძნობები ქაღალდისთვის მიმენდო. ეს ჩემი პირველი ცდაა.

* * *

ომში ყველა არ არის მკვლელი!

ეს ამბავი ჩემს სოფელში მოხდა. ყველასათვის ცნობილი მასწავლებელი, თითქმის 70 წელს მიღწეული, ასცდა თავის მეზობლებსა და ახლობლებს. ფეხები სტკიოდა. ვიღაცის ეზოში შევიდა. ამასობაში სოფელიც აიღეს, იმ სახლშიც შემოცვივდნენ, სადაც ეს ქალი იმალებოდა. მთვრალი, გამხეცებული შეიარაღებული ახალგაზრდები დასცინოდნენ, ამასხარავებდნენ. თავზე ზეწარი წამოაცვეს და უთხრეს ილოცეო! ამ დროს ვიღაცა ამოვიდა აივანზე, მივარდა ზეწარგადაფარებულს და როცა გაფითრებული ქალი ნახა, არაადამიანური ხმით დაიყვირა. მასწავლებელმა თვალის გახელაც ვერ გაბედა. ვერც ის გაიგო, რა ენაზე იყო ნათქვამი წინადადება, მაგრამ განრისხება ყველა ენაზე ერთია?

გვერდით ამოუჯდა, მოეფერა და უთხრა რუსულად: მთვრალები არიან, ნუ შეეპასუხებიო.

როცა გაიგო მასწავლებელი იყო, ხელზე აკოცა, გაყინულხარო და ცეცხლის დანთება უბრძანა ჯარისკაცებს. ცოტა ხანი ბუხართან ერთად ისხდნენ. „ოჰ, ეს ომი!“ - წამოიძახებდა ხოლმე და უსიტყვოდ შეშას შეუკეთებდა. შემდეგ კი ეს თქვა: „მეც მასწავლებლის შვილი ვარ.“ მოხუცი მასწავლებელი იმ წელსვე გარდაიცვალა, სიკვდილამდე ყველას უყვებოდა ამ ამბავს და თან უმატებდა: მე მას აუცილებლად ვიცნობ, თუ კიდევ შევხვდებიო და დეტალურად აღწერდა მის გარეგნობას

ომში ხომ ყველა არ არის კაცის მკვლელი, აა?..

სიმღერა სიკვდილის პირისპირ

ნოემბრის ღამე იყო. ღამის სამი საათი იქნებოდა, როცა ოჯახის თავკაცმა თავისი ოჯახის ყველა წევრი ომის კერას გაარიდა და გზა მშვიდობისა უსურვა. თავად არც უფიქრია ოჯახის მიტოვება. კიდევ არ სჯეროდა, რომ აფხაზს შეეძლო მისთვის ესროლა.

სულ ექვსნი იყვნენ. დღე იმალებოდნენ, ღამე ჩუმად გამოდიოდნენ და ერთ-ერთი მათგანის სახლში იკრიბებოდნენ. მთელი გალი „ბოევიკებმა“ დაიკავეს. არავის არ ინდობდნენ. მოხუცები, იძულებით, მანდარინისა და ლიმონის საკრეფად დაჰყავდათ. ერთ დღეს ექვსივე დაიჭირეს და გაურკვეველ მიმართულებით წაიყვანეს. გზაში მოხდა ორმხრივი შეტაკება ქართველ პარტიზანებს და აფხაზებს შორის. ამ „პერესტრელკაში“ მოხუცის გვერდით მჯდომი მოკლეს. მას კი ქუდი გაეხვრიტა. მანქანას ცეცხლი გაუჩნდა. დარჩა რამდენიმე კაცი ღვთის ამარა ღამის 4 საათზე. ტყე-ტყე იბოდიალეს და მიაღწიეს თუ არა სახლს, აფხაზებმა კარებთან დაიჭირეს და წინ გაიგდეს. მეორე ღამეს თვალი აუხვიეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. ტყვეთაგან ოთხი ქართველი იყო. ისინი ერთმანეთს არ იცნობდნენ, მაგრამ როგორც კი სახვევი აუხსნეს, თვალებით ერთმანეთს დაუწყეს მოფერება. მათ ლაპარაკის უფლება არ ჰქონდათ. სამი საათის მგზავრობის შემდეგ მიიყვანეს ვიღაცის ოჯახში. აქაც სამი ქართველი დახვდა. ამ სამიდან ერთი ახალგაზრდა იყო. საფრთხის მოლოდინით სუნთქავდა ყოველი წუთი.

შუახანს მიღწეული აფხაზი შეიარაღებული მამაკაცი თვალებში უყურებდა დანაღვლიანებულ მოხუცს, რომელიც ყოველ წუთს სიკვდილს ელოდა. მას სიკვდილის არ ეშინოდა, მხოლოდ ერთზე ფიქრობდა: მისი სიკვდილი შურისძიების საბაბი არ გამხდარიყო, მას ხომ ხუთი ვაჟი ჰყავდა!..

მოხუცს აოცებდა შეიარაღებული მამაკაცის მზერა. აფხაზები ქეიფობდნენ. სიმღერაც წამოიწყეს აფხაზურად. სიმღერა მოხუცსაც უყვარდა. რაიონულ ანსამბლშიც მღეროდა, ეს სიმღერაც ხშირად უმღერია აფხაზებთან ერთად სცენაზე და ისიც უნებლიედ აჰყვა სიმღერას. აფხაზებმა შეწყვიტეს სიმღერა და უბრძანეს მარტო ემღერა. სიკვდილის მომლოდინე დედაზე იმღერა. მღეროდა და ცრემლად იღვრებოდა, თითქოს ახლა ეთხოვებოდა ოცი წლის წინ გარდაცვლილ საყვარელ დედას...

„ბოევიკები” კი ხარხარებდნენ...

შუა ღამეს, როდესაც ყველას დაეძინა, მოხუცთან ჩუმად მოვიდა უცნაურად მომზირალი აფხაზი და უთხრა: „მე შენ გაგაპარებ“. პირველი რაც გაიფიქრა მოხუცმა, ეს იყო: „მატყუებს, გარეთ გამიყვანს და მომკლავს“. სხვა გზა რომ არ ჰქონდა, ადგა, გადაკოცნა ბიჭები და დაუბარა: დაუმარხავს ნუ დამტოვებთო.

გარეთ ბნელოდა. მოხუცი ეკითხება მეგრულად: „საიდან ხარ, ბიჭო?“. „გენადი მქვია სხვას ნუღარ მეკითხები“, - უპასუხა მეგრულად (მაგრამ აფხაზური კილოთი), ხელი ჩამოართვა, მკერდზე ეამბორა, ორჯერ ჰაერში ისროლა და გაუშვა მოხუცი.

გათენდა. სად უნდა წავიდეს? ძალაც გამოელია. პატარა მდინარესთან შეჩერდა და გადაწყვიტა დაღამებამდე აქ დარჩენა. მაინც ვერ ხვდება სად არის. გზაზე ფეხსაცმელიც დაკარგა. ჩამოჯდა და მალე ჩაეძინა. სროლამ გამოაღვიძა. მას ორი ახალგაზრდა ყმაწვილი დასდგომოდა თავზე ავტომატით ხელში. უბრძანეს ფეხზე ამდგარიყო. ბიჭებმა გამოჰკითხეს მოხუცი. ისინი ერთმანეთში აფხაზურად ლაპარაკობდნენ და რაღაც ბედიაც ახსენეს. შემდეგ უბრძანეს ჩვენ გამოგვყევიო. მოხუცს წასვლის თავიც აღარ ჰქონდა: სციოდა, შიოდა. მიუხვდნენ მას. ერთმა (მას რადიკს ეძახდა მეგობარი) რამდენიმე წუთში პურის ნატეხი და კალოში მოუტანა. მოხუცს კალოში პატარა ჰქონდა, მაგრამ ცხვირი მოაჭრეს და ისე ჩააცვეს. გაჰყვნენ მდინარეს და გზაც გამოჩნდა. მოხუცი მიხვდა: ეს იყო სოფელ ბედიის გადასახვევი. გაუჩერეს მანქანა და ჩასვეს. ყმაწვილების ბოლო ფრაზა ეს იყო: „ კარგად, ჩვენგან მოკითხვა გადაეცი შენებს.“

დღესაც ფიქრობს მოხუცი რადიკზე, გენადზე - ნეტავი სად არიან? უთუოდ ისინი ბათუს შთამომავლები იყვნენ საფარ-ბეგთან არავითარი ნათესაობა აღარ ჰქონდათ, - ამბობს მოხუცი და მეც მწამს, რადიკისა და გენადის შთამომავალნიც ადვილად გაიკვლევენ გზას ქართველთა გულებისკენ - კავშირი გულთა შორის აფხაზთა და ქართველთა ხვალინდელი დღეა... და ეს კი მშვიდობის გარანტიაა, რადგან ,,გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდია“...

* * *

დამარცხებული ომის კანონი

მე ეს მახსოვს... მძიმედ დაჭრილი ახალგაზრდა მოიყვანეს გალის საავადმყოფოში. მორიგე ექიმი იყო სოხუმელი კაცი. დაჭრილს ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ სასწრაფოდ იყო საჭირო სისხლი. დრო არ ითმენდა. აქვე იწვნენ აფხაზი დაჭრილი „ბოევიკები", რომლებსაც თავზე მშობლები ედგათ. მათ რომ გაიგეს, ახალგაზრდას სისხლი სჭირდებაო, არც უფიქრიათ, რომ მათი შვილები ქართველების ტყვიით იყვნენ დაჭრილი. საჭირო სისხლი უყოყმანოდ გაიღეს ქართველი ჭაბუკის გადასარჩენად.

გაოცებული ახალგაზრდის ნათესავები თვალცრემლიანი უყურებდნენ მათ და უხმოდ სწყევლიდნენ ომის კანონს, რომელმაც ოდითგანვე ჩანგურსა და ,,აფხიარცაზე" გაზრდილი ადამიანების სისხლი უმოწყალოდ დაღვარა, ძმა ძმას დაუპირისპირა. სისხლის გადასხმამ ქართველი და აფხაზი ბიჭები ძმებად აქცია, ოჯახები კი დაამეგობრა. სიკეთემ იზეიმა... მეიმედება, რომ ასეთი ნათელი გაძლიერდება... ძმობა აღდგება!

* * *

თანაზიარობით გადარჩენილი სიცოცხლე

მახსოვს ბებიასთან სტუმრად ვიყავი, ენგურს გაღმა. ეს შემთხვევა თავად ვნახე. ჩვენი სახლის წინ წივილ-კივილით, ბავშვით ხელში მირბოდა ფეხშიშველი ქალი. მას უკან მისდევდნენ მეზობლები. ჩვენი ოჯახის ყველა წევრი ქუჩაში გაცვივდა ამბის გასაგებად. თურმე პატარა ბავშვს ქინძისთავი გადაუყლაპავს, გახსნილად ყელში გასჩხეროდა. მაშინ მანქანა იშვიათად დადიოდა. ელდანაკრავებმა, უკიდურესად შეშინებულებმა ბავშვი საავადმყოფოში მიარბენინეს. იქ გადაწყვეტილად უთხრეს: „სასწრაფოდ გადაიყვანეთ ზუგდიდის საავადმყოფოში!" სასწრაფო დახმარების მანქანა არ ყოფილა. დროც არ ითმენდა...

ბავშვის ამ საცოდაობას შეესწრნენ საავადმყოფოში დაჭრილი აფხაზის მოსანახულებლად მოსული მეგობრები. ისინი მაშინვე მივიდნენ დედასთან და ენგურის ხიდამდე მიყვანა შესთავაზეს. ერთ აფხაზს კი ჯიბიდან ფული ამოუღია და მიუცია - ფეხსაცმელი იყიდეო...

აფხაზი „ბოივიკების" წარმოუდგენელმა კეთილშობილებამ ბავშვი გადაარჩინა - უფრო მეტიც. ადამიანს ადამიანისადმი რწმენა გაუჩინა. ისინი მტრებად ხომ არ გაჩენილან. როცა ყოველი ადამიანი ასე იფიქრებს, მარადიული სიმშვიდე ისადგურებს ჩვენს სულებში. რაც საყოველთაო მშვიდობის საწინდარია.

მშვიდობა ჩვენი თაობის სანუკვარი სიტყვაა. მჯერა, ჩვენს შემდეგ თაობებს ეს სიტყვა არ ექნება საძებარი ლექსიკონებში, ჩვენ მას ყოველდღიურ ლექსიკაში უთუოდ დავამკვიდრებთ.

უაფხაზეთო „მკერდმოჭრილი“ საქართველო

მახსოვს, აფხაზეთში რომ ჩავედით, ოთხი წლის ვიყავი... დიდი ეზო ჩემს განკარგულებაში რომ დავიგულე, „თავი დავკარგე“, სახლში შესვლის სურვილიც არ მქონდა. ბაღში არ მივლია, რადგან იქ მხოლოდ ენგურჰესში მომუშავე „მაღალჩინოსნების'' პატარებს იღებდნენ, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ ეს დანაკლისი არც მიგრძვნია. ბებიამ (დედის მხრიდან) წამიყვანა თავისთან გალში და მთელი ზაფხული ქართულ წერა-კითხვას მასწავლიდა. სკოლაში რუსულ ენაზე გვასწავლიდნენ, ჩემთვის ნაცნობი ქართული კი ერთი საგანი იყო. თავიდან, რუსულის სწავლა ძალიან მიჭირდა, მაგრამ მონდომებითა და შრომისმოყვარეობით, ასე ვთქვათ, ალღო ავუღე და წარჩინებული მოსწავლეც გავხდი, მაგრამ ძალიან მიჭირდა აფხაზური ენის სწავლა. ანბანში სამოცდაოთხი ასო იყო, ყველა მათგანი ერთმანეთს ჰგავდა.

ჩემი აფხაზურის მასწავლებელი აფხაზი იყო. ისე მოხდა, რომ მისი შვილის გადარჩენა მხოლოდ საქართველოში შეძლეს ქართველმა ექიმებმა, მაგრამ მაინც არ იყვნენ აფხაზები ჩვენს მიმართ კეთილგანწყობილნი. მდგომარეობა უარესდებოდა, ყველანაირად გვავიწროებდნენ. გავრცელდა ხმა, რომ ენგურსგაღმა დაბადებულ ბავშვებს ატესტატს არ მისცემდნენ, ამიტომ მშობლებმა სხვა რაიონულ სკოლაში გადამიყვანეს, სადაც შევძლებდი არალეგალურად, ქრთამის სანაცვლოდ მოეცათ აფხაზური დაბადების მოწმობა. ახლა მაქვს ორი დაბადების მოწმობა. ჩემს ახალ სკოლაში ქართულის სწავლება სასტიკად აკრძალული იყო. ამ სკოლის დირექტორი კი ქართული ენის ფილოლოგი იყო. მას სხვა გზა არ ჰქონდა, უნდა დამორჩილებოდა მათ. ჩვენი დიდი თხოვნით გადაწყვიტა ჩვენთვის ჩუმად, გაკვეთილების შემდეგ, ქართულის გაკვეთილები ჩაეტარებინა. წიგნებს ვმალავდით იატაკის ქვეშ, მაგრამ ჩვენი ასეთი დაფარული სწავლება დიდხანს არ გაგრძელებულა. ტკვარჩელის კომისიის „წყალობით“. მახსოვს კომისია თავზე რომ დაგვადგა, „შუშანიკის წამების“ პირველ თავს გვიხსნიდა. ჩვენი სკოლის დირექტორს ფურცელი გადასცეს. ,,მხილებული“ მასწავლებელი უკვე ვერ შეძლებდა არალეგალური გაკვეთილების ჩატარებას. ძალიან გვაინტერესებდა, რა ბედი ეწეოდა შუშანიკს... ვკითხულობდით, მაგრამ ბევრს ვერაფერს ვგებულობდით...

უფრო მძიმე მოგონება არის ის, რომ ყოველ 27 სექტემბერს ჩვენს სკოლაში გამარჯვების დღესთან დაკავშირებული კონცერტები ტარდებოდა და აფხაზეთი „საქართველოზე გამარჯვებას“ აღნიშნავდა. გული ძალიან მტკიოდა და საშინლად ვბრაზდებოდი, როცა ქართველი ბავშვები ამ დღეს, იმ სამარცხვინო ომის შედეგად „გამარჯვებული“ აფხაზეთის მიერ ჩატარებულ კონცერტზე ცეკვავდნენ. (მაგრამ სხვა გამოსავალი ჰქონდათ?) ღონისძიების დროს ჩვენი აფხაზური ენის მასწავლებელი ტიროდა, ვკითხე რა ატირებდა, მან კი მიპასუხა: „Грузинские твари чёрт знает сколько невынных людей убили“. არაფერი მითქვამს ისე წამოვედი ღონისძიებიდან. ზუსტად ერთი ფრაზის შემდეგ მივატოვე აფხაზეთის ისტორიის სწავლა, სადაც საქართველოზე ცუდის მეტი, კარგი ვერაფერი წავიკითხე ...

* * *

ო, აფხაზეთო! როგორ სუნთქავ უსაქართველოდ!

მე ვამაყობ, რომ აფხაზეთის ასული ვარ, ვამაყობ ყველა კუთხე რომ მაქვს ნანახი, საოცარია იმ სილამაზის დანახვა, ენით აღუწერელი გრძნობაა, როცა ამ სილამაზეს უყურებ და აცნობიერებ, რომ ყველას არ შეუძლია ამის შეგრძნება, მაგრამ ამავდროულად მტკივნეულიც არის, შეიძლება ამ მშვენიერების დანახვა მომავალში მეც ვერ შევძლო, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ, რომ ეს არ მოხდეს.

აფხაზეთში სულ სხვა ჰაერია, იქ სულ სხვანაირად ვსუნთქავ სიხარულით და ბედნიერებით. იქ სხვანაირი სიყვარულია... ალბათ ტკივილიან-განსაცდელიან- საფრთხიანი... როცა ენგურს გადავდივარ რაღაცნაირად სხვა ჰაერი მხვდება, და მონატრებით ამოვისუნთქავ, ვხვდები, რომ ეს გაუსაძლისად მაკლდა.

ღმერთია მოწმე, მე სხვა კუთხე არ მძულს, მაგრამ აფხაზეთი ჩემი სამყაროა, ჩემი ბუდე. სადაც ყოველთვის ბედნიერი ვარ და თავს ზედმეტად არ ვგრძნობ, სადაც ჩემი ბავშვობის საუკეთესო წლები გავატარე, ჩემი სკოლა და მეგობრები, სახლ-კარი, სადაც გავიზარდე. ჩემი მოგონებები აფხაზეთშია.

მახსოვს ხმა გავრცელდა, რომ მოვიდნენ რუსები და თქვეს: ამ სოფლის ერთ-ერთი ქუჩა წითელ ზონაშია და აეროპორტი უნდა აშენდესო, მაგრამ ჯერჯერობით არ მომხდარა ასეთი რამ, ჯერ არაფერი არ არის გადაწყვეტილი. იქ რომ აეროპორტი აშენდეს, მაშინ მოსახლეობა უნდა გადაასახლონ სადმე, ჰპირდებოდნენ ანაზღაურებას... და ვის ან რაში სჭირდება რუსებისგან რამე, როცა ოჯახებს სახლ-კარი აქვთ, სადაც წლები შრომობდნენ, სადაც მათი მთელი ცხოვრება გაატარეს და ახლა რუსი დგას და წყვეტს სად და როგორ იცხოვროს... სად არის სამართლიანობა... როდემდე რუსის კანონი და განგებულება?!

ო, აფხაზეთო! მე მჯერა, რომ აფხაზეთში კვლავ არ იქნება ომი. იქნება სიმშვიდე და ღმერთმა ქნას, ყველა ვისაც, აფხაზეთში უნდა დაბრუნება, თუნდაც სტუმრად ჩამოსვლა, ჩამოვიდეს, არ ჭირდეს მისვლა-მოსვლა... ავტომატიანი მესაზღვრეები არ ზღუდავდნენ თავისუფალ ნებას...

გული რამდენს ეწვის აფხაზეთით,

რა უსაშველო ტკივილი ხარ, აფხაზეთო!

რამდენ სიმწარეს და ტკივილს იტევ...

მე აფხაზეთის ასული მქვია,

მომნატრებია ჩემი სახლ-კარი...

და სახლი, სადაც არ უნდა მქონდეს,

შინ ვერ იქნება ის სახლი ჩემთვის !

* * *

აფხაზურის მასწავლებელი

პატარაობისას სულ მინდოდა სკოლაში წასვლა, პატარა ასაკის მიუხედავად, რადგან მამის ბავშვობის ფოტოებიდან სკოლა საოცრად ნათელი და ლამაზი ჩანდა. რამდენიმე წლის შემდეგ სიხარულით წავედი პირველ კლასში, თუმცა გავწბილდი. ეს ის ნათელი სკოლა არ არის, რაც მე ფოტოზე ვნახე. უეცრად შევშინდი, ნატყვიარი და ნახევრად გადამწვარი შენობა დამხვდა.

პირველიდან მეშვიდე კლასამდე თითქოს ყველაფერი კარგადაა: ქართულად ვსწავლობთ, ქართულად ვსაუბრობთ და ა.შ. თუმცა ეს სიხარული ხანგრძლივი არ აღმოჩნდა.

ამბავი გავრცელდა: აფხაზი და რუსი მასწავლებლები გაანაწილეს გალის რაიონის სკოლებშიო, ახლაც მახსოვს მთელი სკოლა როგორ ვიდექით მწკრივად და თითქოს უდიდესი ტრაგედიის ამბავს გვიყვებოდნენ მასწავლებლები, ასევე იყო დარიგებები: ქართულად ნუ ისაუბრებთ, ქართულის წიგნები შეინახეთ, ყოველ დილით აფხაზეთის ჰიმნს უნდა მოუსმინოთ.

მოვიდა აფხაზურის მასწავლებელი და ახლა უარესად შევშინდით. ითქვა, რომ ის ნაომარი მამაკაცი იყო... შიშიანი მოლოდინი, საბედნიერად, არ გამართლდა: მასწავლებელი, ვინც თავიდანვე სასტიკად წარმოვიდგინეთ, თაფლივით ტკბილი გახდა რამდენიმე გაკვეთილის შემდეგ.

დავიწყეთ აფხაზურის სწავლა და რას ვხედავთ: საკვირველია, ჩვენი მასწავლებელი ქართულს სწავლობს... გვეკითხება ეს ასო ქართულ ენაზე როგორ იწერებაო და მშვენივრად წერს დაფაზე, ისიც აღნიშნა, რომ ლამაზი დამწერლობა გვაქვს. ასევე სწავლობდა სიტყვებს, რამეს აფხაზურად თუ იტყოდა, გვკითხავდა: „ეს თქვენს ენაზე როგორ იქნება?“. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ის ჩვენი აფხაზურის მასწავლებელი იყო, ჩვენ კი მისი ქართულის მასწავლებლები. თავიდან რომ გვეშინოდა ამ მასწავლებლის, ახლა სიხარულით შევდიოდით მის გაკვეთილებზე.

ბოლოს, როცა სკოლა დავამთავრეთ, მან ხელისუფლების დაკვეთით კი არ დაგვაკვალიანა: АГУ-ში უნდა ისწავლოთო!

დაგვლოცა და გვითხრა: „სადაც არ უნდა ისწავლოთ, წარმატებული და ნათელი გზა გქონოდეთ მუდამ!“

ასეთი კარგი, სამართლიანი და ადამიანობით სავსე მასწავლებელი იყო იგი.

* * *

სიჩუმე სადაც ყველაზე მეტი ხმაურია...

აფხაზეთში ისევ მძვინვარებს შევარდნაძის პერიოდისეული წყობა. იქ, სადაც მე გავიზარდე, ისმოდა სროლები და ტანკის გრუხუნი. ასე გვიწევდა ცხოვრება, ამასთანავე ჩვენი წვალება მიზანმიმართულად შექმნა ოკუპანტის რეჟიმმა. ასეთი ცხოვრება რთულია, მოსაწყენიც... თუ ბედისწერაა ყველაფერში დამნაშავე, ამ ბედისწერას ხომ ჩვენ ვქმნით... ხვალინდელი დღის მშობელი ხომ დღევანდელობაა, ე.ი. გულხელდაკრეფილად არ უნდა იყო, სასიკეთო ცვლილებისთვის უნდა იბრძოლო.

ჩემს გარემოში „კალაშნიკოვი", „ბე-ტე-ერი" და ტანკი ჩვეულებრივი მოვლენა იყო, ჩემი სახლის წინ უამრავ ჯავშან-ტექნიკას გაუვლია და უამრავიც გაჩერებულა. ზოგადად ჩემი გადმოსახედიდან ბავშვობაში ძალიან მეშინოდა სამხედრო თვითმფრინავის ხმის და მისი გამოჩენისას ჩემი დასამალი ადგილი ვერ იძებნებოდა... ვიცოდი, რა შედეგით მთავრდებოდა მათი გამოჩენა, რა ზიანის მოტანა შეეძლო.

2008 წლის აგვისტოში ისევ ვნახე, თუ როგორ მიემართებოდა ჭურვი თვითმფრინავისაკენ. ვუყურებდი გაშეშებული, რამდენიმე წამშიც გარინდულ და დადუმებულ ბუნებაში გაისმა დამაყრუებელი ხმაური, რომელიც იყო აფეთქების ხმა: ხმა, რომელიც იწირავს მშვიდობას, ადამიანთა სიცოცხლეს... ხმა, რომლის კვალიც ძალიან ძნელი წასაშლელია...

ვფიქრობ, ახლა მიმდინარეობს სულიერი გენოციდი აფხაზეთის, ოკუპირებული მოსახლეობის მიმართ. ამის ერთ-ერთი მაგალითი ისაა, რომ ქართულ მიწაზე აგვიკრძალეს სკოლებში ქართულად წერა-კითხვა, საუბარი, აიკრძალა სამლოცველოები...

აფხაზეთი არის ერთ-ერთი უძველესი კერა ქრისტიანობისა, სადაც სიმონ კანანელმა ქრისტიანობა იქადაგა, ასეთ კუთხეში კი დღეს ,,ერთმორწმუნე რუსეთის" რეჟიმის პირობებში თავისუფლად ლოცვაც გვეკრძალება. რწმენაა ის უდიდესი ღირებულება, რაც ჩვენ დაგვრჩენია ამ უხამს გარემოში, რწმენითა და უფლის სიყვარულით თუ გადავრჩებით.

სადაც მე ვცხოვრობ, იქ არც დრო მეფობს, აქ მხოლოდ შიში მეფობს, იქ ჩვენს რეალობაში შიშია ადამიანის სამყოფი და უკვე ისეთ გარემოში ვართ, სადაც მხოლოდ მუქი ფერი ბატონობს, ნათელს ფერს ვერ აღვიქვამთ. მჯერა, რომ განათდება ბოროტების ასპარეზიც და გამოჩნდება იმედის სხივი, რომლითაც შევძლებთ, რომ დავიბრუნოთ მშვიდობა ამ არეულ ქვეყანაში, სადაც ყველაფერს უბედურების, უსამართლობის ფერი ადევს.

გონების კივილი

დენთის ბოლში ვარ გახვეული

წილად მერგო ცხოვრება წამებული,

აფხაზეთის, მინდა მე დაბრუნება.

კვლავ ტკივილით იჟღინთება გონება ჩემი,

ვიცი სოხუმიდან ბათუმამდე ისევ ივლის გემი.

უკვე ლოდინში სათვალავი ამერია,

თმაზე კი 18 წლისას ჭაღარა გამერია.

სათქმელს ამბობს რითმები მარტივი,

გრძნობებს აყოლილი მაინც არ ვტირი,

მინდა ქართულად იხსენებოდეს გალი,

ამ ცხოვრებაში მაქვს დიდი ვალი.

ამ ლექსით მარტივად, მაგრამ გულში ჩაწნეხილი ტკივილით ვცადე გამომეხატა ჩვენი ცხოვრების, ნატვრის ხასიათი ენგურს გაღმა... ეს იქ არ ითქმის, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ. არ არის გამორიცხული დეპორტი მოგვცეს მთავრობამ, იმ ადგილიდან, სადაც ჩვენი წინაპრები იბრძოდნენ, იმისთვის, რომ ჩვენთვის შემოენახათ მიწა-წყალი, ახლა კი ძირძველ მოსახლეობას დროებითი მცხოვრებლების სტატუსი გვაქვს, ასე ცხოვრება კი ამაზრზენია. ტრაგიკულია, რომ დეფაქტო საზღვრის გარეთ მცხოვრები აფხაზეთის

მოქალაქეების უმრავლესობას არ შეუძლია მათი წინაპრების საფლავის მონახულება და საფლავზე სანთელის ანთება, რომლითაც ის პატივს მიაგებს ოჯახურ ღირებულებებს.

მე ვარ თვრამეტი წლის ბიჭი, ამბიციებით აღსავსე, და არ მინდა, რომ ჩვენს საცხოვრებელში და ჩემს ტერიტორიაზე, სადაც მე გავიზარდე, ვიღაც ოკუპანტები დათარეშობდნენ, ასევე არ მინდა, რომ შიშით, მონატრებით და უიმედოდ ვუყურო წინაპრების დატოვებულს, სახლს, რომლის მოვლა და პატრონობა დიდ სიამოვნებას მანიჭებს, რადგან ვიცი, რომ ადრე თუ გვიან დამიფასდება შრომა და ამის მერე კი კმაყოფილი სახით ვიტყვი მოხუცობის ჟამს, რომ ტყუილად არ გავრჯილვარ, ასეც ვასწავლი მომავალ თაობას, რათა შენარჩუნდეს ის ადათ-წესები, რომელსაც ჩვენ ვატარებთ და რომელიც გვიჭირავს კბილებით შიშისა თუ მშვიდობის, თავისუფლების წყურვილის ჟამს.

მჯერა, რომ საქართველო გაერთიანდება და სიმართლე გაიმარჯვებს.

* * *

მოგონებები უსაქართველო აფხაზეთიდან...

2019

გზა სკოლისკენ

დაწყებით კლასში ვიყავი, როცა სკოლისკენ მიმავალ გზაზე ე. წ. კანონის დამცველები, სამხედროფორმიანი აფხაზები განლაგდნენ და ეს ვითარება უცვლელი დარჩა. მახსოვს, დღემდე მახსოვს, როგორ შიშით გავდიოდით მე და ჩემი ძმა ყოველ დილით იმ ადგილს. ეს ერთგვარი სტრესი იყო ჩვენთვის ...

გაკვეთილების დასრულების შემდეგ, კვლავ ის საშინელი გრძნობა გვეუფლებოდა. გულში ვფიქრობდი, ღმერთო, ოღონდ არ შემაჩერონ, დაკითხვა არ მომიწყონ...და ასე გრძელდება ქართველობის გამო წლების განმავლობაში.

* * *

„სტავკა“ 80კგ.

მახსოვს, ზაფხული იყო, აგვისტოს თვე. მამაჩემი სამსახურში გახლდათ. დედაჩემი, ჩემი ძმა და მე მეორე სართულის აივანზე ვისხედით, თხილს ვარჩევდით. ამ დროს მანქანის შეჩერების და ჭიშკრის ხმა შემოგვესმა. დედაჩემი გავიდა. საუბარი გაიმართა. ბავშვებმა გავიხედეთ: აფხაზები დგანან ავტომატით ხელში. მე და ჩემი ძმა კარებს მივეფარეთ, ვიჭყიტებოდით, ფორმიანების შეგვეშინდა.

კამათი დაიწყეს, დედა ეჩხუბებოდა. „სტავკა 80კგ“-ს ითხოვდნენ, რა თქმა უნდა თხილს, და კიდევ ერთ ტომარა სიმინდს. აყალმაყალის შეგვეშინდა, ავკანკალდით და ხმამაღალი ტირილი მოვრთეთ.

გაცხარებული დედაჩემი ეუბნებოდა:

წაიღეთ! წაიღეთ, ბავშვების ოფლით და ცოდვით (მოხვეტილი, მობოჭილი) თხილი!

-შეხედეთ, ამ ბავშვებს ნუთუ არ გეცოდებათ?1

-უგულოებო, წაიღეთ!

-აფხაზები: „სტავკას“ 80კგ-ს, 2 კგ-ც გადაჰყვა.

და დედას უთხრეს, გადაეყარა ნამატი 2კგ.

-დედა: ჩვენ, არასდროს ვყოფილვართ მათხოვრები!

წაიღეს და წავიდნენ. ბიძაჩემიც აქვე ცხოვრობს, ორ ნაბიჯში, ჩვენი სახლის გვერდით. მასთან მივიდნენ, ანალოგიურს კი არ თხოვდნენ, არამედ მოითხოვდნენ. ბიძაჩემმა წანააღმდეგობა გაუწია, შეეპასუხა. ჩვენ წივილ-კივილი დავიწყეთ. დედა გვამშვიდებდა.

ამ დროს ერთ-ერთმა მათგანმა სროლა დაიწყო. პირველად მაშინ ვნახე, ცეცხლსასროლი იარაღიდან როგორ გავარდა ტყვია... შეგვაშინეს, ბიძაჩემს უპატივცემულოდ მოექცნენ, იმიტომ, რომ შეეპასუხა. ჩაცვივდნენ „ვილისში“ და წავიდნენ. ასეთი შემთხვევები გამონაკლისი როდია აფხაზეთში...

* * *

* * *

თარიღი (თვე) არ მახსოვს. აფხაზები დადიოდნენ დროგამოშვებით. ხან ჯარი იყო მიზეზი, ხან სიგარეტი, ხან კი საბუთები და ა.შ. როგორც კი ხმა გავრცელდებოდა, რომ სოფელში ისინი იყვნენ შემოსულები, ყველას სახეზე ფერი ეცვლებოდა, ყველას გვეშინოდა, არავინ იცოდა ამჯერად რა „შარზე“ იყვნენ. და აი, ითქვა ისიც, რომ ქართული საბუთების ჩამოსართმევად არიან პატრულირებაზე.

საწყალი ხალხი... ვინ სად გარბოდა და ვინ სად. ზოგი ჩვენთან, თავქუდმოგლეჯილები მორბოდნენ, ზოგი კი - სხვა მეზობლებთან, საბუთების გადასაცემად... ჩქარა! არ მოგვისწრონ... ღმერთო, მოვასწრებთ კი გადავმალოთ?

ვერ ავხსნი, რა სიმწრით მახსოვს დღემდე: ყანაში, სიმინდებთან ჩამარხეს ჩემმა მშობლებმა ქართული პასპორტები. როგორც, ზემოთ აღვნიშნე, რამდენიმემ ჩვენთან მოიტანა, როგორ უნდა მოგეფიქრებინა, სად იყო უსაფრთხო პასპორტის დამალვა. ღმერთო, მადლობა! მოვასწარით? და როგორც კი „ვილისი“ სოფლიდან გავიდოდა, ამოვისუნთქავდით, მაგრამ ვინ იცის ასე რამდენჯერ ან რამდენი წელი გრძელდებოდა. უკვე მოიგვარეს საქმე: ადგილობრივ მოსახლეობას აქვს დროებითი მაცხოვრებლის მოწმობა...

* * *

ბიძაშვილის, ქორწილის დღე იყო. მოგეხსენებათ ჯერ კიდევ იმ დროს, ქორწილები სოფელში იმართებოდა. საღამო იყო, დაახლოებით 20:00 საათი. მისაღებ ოთახში ვიყავით. ნაწილი სტუმრებისა ხუმრობდა, საუბრობდნენ. მე მაშინ პირველ კლასში გახლდით. აფხაზები მოსულან, სახლს ალყა შემოარტყეს, მაგრამ არავის დაუნახავს ისინი. უცებ გარეთ გასვლა მომინდა, ფანჯრიდან „ფორმიანი“ დავინახე. გამოვიქეცი მისაღებში და ჩურჩულით ვაცნობე ბიჭებს. მაშინვე გაქცევა მოინდომეს... მისაღები ოთახის კარები ფეხით ჩამოიღეს „ავტომატიანებმა“, შემოცვივდნენ აფხაზები და ორი ბიჭი დაიჭირეს. შეიქმნა ალიაქოთი. საწყალი მშობლების ძახილი, ხვეწნა-მუდარა... შეტრიალდნენ ბიჭებიანად და წავიდნენ, სანაცვლოდ კი დიდ თანხას ითხოვდნენ.

* * *

არავინ იცოდა, საღამოს, შუაღამე, დილით, დღისით თუ მზისით, როდის და რა დროს დაესხმებოდნენ თავს ჩვენს ახალგაზრდა ბიჭებს, ძმებს, მეზობლებს თუ ნათესავებს. მძინარეები რამდენჯერ აუყენებიათ და უცემიათ უმიზეზოდ. მახსოვს... აბა, გაგებედა და შეპასუხებოდი! რამდენჯერ დილაადრიან მოსულან, დაუჭერიათ ბიჭები და წაუყვანიათ.

სანაცვლოდ კი თანხას ითხოვდნენ. სოფელში (ახალგაზრდობის; ბიჭების) უმრავლესობა, თავდაცვის მიზნით ენგურს გამოღმა ხან სად, ნათესავებთან, ხან კი სად იყვნენ გადაცვენილნი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით.

* * *

დილა იყო. უფროს ბიძასთან აფხაზები მივიდნენ. ბიძა სახლში არ გახლდათ, მხოლოდ უმცროსი ბიძაშვილი და ბიცოლა იმყოფებოდნენ შინ. როგორც კი ბიცოლას შორიდან დაუნახავს ესენი, თავისი ვაჟი გაუღვიძებია და საწოლის ქვეშ დაუმალავს, ამასობაში მათ ჭიშკარი გამოიარეს და ძახილით ამოვიდნენ, შეცვივდნენ შიგნით, იცოდნენ რომ ამ ოჯახში ორი ვაჟი იზრდებოდა და ჯარში წასვლის დრო დამდგარიყო.

მოგეხსენებათ, აქ ჯარში ქართველებს ცუდად ეპყრობიან. იქ წასული არავინ იცოდა, როგორი დაგიბრუნდებოდა. სწორედ ამის ეშინოდათ მშობლებს, შვილების იქ გაშვების. გაუჩხრიკეს სახლი და ვერავინ იპოვეს, მაგრამ საწოლის ქვეშ არ შეუხედავთ. ოთახიდან, გავიდნენ თუ არა, ჩემმა ბიძაშვილმა მოასწრო უკანა კარებიდან გაქცევა, ისე რომ არ შეუმჩნევიათ, ღვთის წყალობით. შემდეგ ისევ საძინებელში შემოსულა აფხაზი, საწოლის ქვეშ შეუმოწმებია, ვერავინ იპოვა და სწორედ ასე გადარჩა ჩემი ბიძაშვილი იმ დილით.

* * *

დედაჩემი იხსენებს: აგვისტოს თვეს შემოსულან ჩვენ სოფელში აფხაზები. არ მახსოვს ამ დროს მე სად ვიმყოფებოდი. იმ დღეს ნათესავი, ბიძაჩემი და კიდევ რამდენიმე მეზობელი უცემიათ. მამაჩემი სიტყვიერად დაპირისპირებია მათ, უკამათია თუ რატომ უნდა მიგვეცა 80კგ თხილი მათთვის, რატომ ვიყავით ვალდებულნი?

მამაჩემი ცემას გადაურჩა, მაგრამ დამუქრებიან. მუქარა მამაჩემს არ გაუგია. მოთმინებადაკარგულმა გამოხატა პროტესტი და სახლში წამოსულა. მეზობელს გაუგია, თუ როგორ დაემუქრა. მათი წასვლის შემდეგ მოვიდა, მამა გააფრთხილა: ფრთხილად იყავი, ეცადე სადმე არ გადაეყაროო!

ამის შემდეგ, თურმე მამაჩემს საძინებელში, საწოლის ქვეშ მუდმივად ნაჯახი ედო, იცოდა ნებისმიერ წუთს შეიძლებოდა მოვარდნილიყვნენ და ნებისმიერი ფორმით დაესაჯათ.

* * *

თბილისის ერთ მხარეს, მდინარე ვერეს ხეობასთან, დგას საბჭოთა კავშირის დროს აშენებული ორი უსახური შენობა, რომლებიც სრულიად არ შეეფერება იქაურ ლანდშაფტს, ბუნებას ამახინჯებს. იქ ცხოვრობს აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა, ერთ დროს სტუდენტებისთვის განკუთვნილი პატარ-პატარა ოთახები სავსეა საკუთარ სახლ- კარს მოშორებული ადამიანების ათასობით სევდიანი ისტორიით. ერთ-ერთი ასეთი შენობის საცხოვრებელში მეც მაქვს ცხოვრების გარკვეული წლები გატარებული და მოვყვები, თუ როგორ აღმოვჩნდი იქ... და ზოგადად არა მარტო იქაურობაზე. ჩემს ცხოვრებაში ბევრჯერ მომიხდა საცხოვრებლის გამოცვლა და უმეტესად მშვიდი პერიოდი არც ყოფილა. მოვყვები ჩემს ოჯახზე, აფხაზეთის ომზე იმაზე თუ რა გადაგვხდა ყველას ერთად. ერთი კერძო ამბავი ხომ ნატეხია აფხაზეთის ტრაგედიისა...

დედაჩემი სოხუმიდან არის, ბებია იქ ქართულის მასწავლებელი იყო, მისი მონაყოლიდან ვიცი, რომ ჩვენს ოჯახს ყველა პატივს სცემდა, აფხაზების ჩათვლით და ერთად ბედნიერად ცხოვრობდნენ. მისი ბაბუის ინიციატივით, აფხაზებთან ერთად, სოხუმში აშენდა ერთ-ერთი პირველი სკოლა, რომელიც შემდგომ ბოლშევიკებმა დაწვეს. დიდ ბაბუას აფხაზები დიდ პატივს სცემდნენ. ამას ვყვები, რადგან მჯერა, ჯერ კიდევ შეიძლება თანაცხოვრება ჩვენს აფხაზ მოძმეებთან, თუ გავაცნობიერებთ, რომ ამ კონფლიქტში მთავარი დამნაშავე გარე, შემდეგ კი შიდა ნეგატიური ძალებია. შიდა ძალები, რომელთაც უბრალო ხალხი გულუბრყვილობით აჰყვა, სინამდვილეში კი გაუცნობიერებლად მტრის მიზანი განახორციელეს.

უმთავრესი მტერი და მთავარი დამნაშავე რუსეთია. დაპირისპირებას შეეწირა ბევრი ჩვენი ახლობელი, ერთ-ერთი იყო ბებიაჩემის ძმა, რომელიც ომის პერიოდში სოხუმიდან ზუგდიდში მგზავრობდა მატარებლით. ატყდა სროლა. ის იქ მყოფ ბავშვებს ეფარებოდა და მოხვდა ბრმა ტყვია. ბაბუაჩემი წარმოშობით რაჭველი იყო და სოხუმის პროფესიულ სასწავლებელში ასწავლიდა, როდესაც ჩემმა ოჯახმა სოხუმი დატოვა, ის ერთადერთი იყო, ვინც იქ დარჩა და სახლ-კარის შენარჩუნება სცადა, თუმცა, მეზობლად მცხოვრები სომხების წაქეზებით მათმა ნათესავებმა ის სიკვდილის პირას მიიყვანეს და ძალის გამოყენებით დაატოვებინეს იქაურობა. ახლა იქ სომხები ცხოვრობენ, ის სომხები, რომლებიც მანამდე მხოლოდ და

მხოლოდ პატივისცემას გამოხატავდნენ ქართველების მიმართ. არ ვიცი მათ მტრულად განწყობილი გარე ძალები ვუწოდო თუ - შიდა... ალბათ უფრო ორივე.

მამაჩემი გალის რაიონიდან, სოფელ ნაბაკევიდან იყო. ის სოხუმში შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობდა. მამას მეგობრის მონაყოლიდან ვიცი, რომ შარტავასთან და გაბისკირიასთან ჰქონდა ახლო ურთიერთობა და მათ ოჯახებში სტუმრადაც ბევრჯერ ყოფილა. თავიდან, სოხუმში აფეთქებების დროს, როდესაც ყველა მიწაზე წვებოდა, ის ფეხზე რჩებოდა, რაზეც ბევრჯერ მიუცია მეგობარს შენიშვნა, მან მითხრა, რომ მამაჩემი არ უჯერებდა და შემდეგი აფეთქებისას თვითონ ცდილობდა როგორმე ხელის კვრით მიწაზე დაეწვინა იგი, რადგან ასეთ დროს ბევრმა დაკარგა ხელ-ფეხი. შემდეგ ჯანმრთელობის პრობლემების გამო მოუწია დროებით სამსახურის დატოვება, თანაც ბიძაჩემი საქართველოში არ იყო და ასეთ აურზაურში ოჯახის დამცველი სხვა არავინ ეგულებოდა.

ჩემმა მშობლებმა ერთმანეთი სოხუმში გაიცნეს. ომის გამწვავებისას ჩვენს ოჯახს ზუგდიდში მოუწია წამოსვლა. მე ქუთაისში დავიბადე და ერთი წელი სოფელ ხვანჭკარაში ვიზრდებოდი, ბაბუაჩემის ნათესავებთან. შემდეგ დავბრუნდით ნაბაკევში, სამი წლის ვიყავი, როდესაც 1997 წელს აფხაზურმა მხარემ ჩემს სოფელზე შტურმი მიიტანა და რამდენიმე ოჯახის გამოკლებით თითქმის ყველას სახლი გადაწვა, მათ შორის ჩვენიც. უსახლკაროებს მოგვიწია ზუგდიდში ნათესავის სახლში ცხოვრება. ბაბუაჩემმა ვერ აიტანა მშობლიური მიწიდან განდევნა და ხშირად დადიოდა იქ, რომ ეზოსთვის ყურადღება მიექცია, ზამთარის ცივ დღეებში უწევდა ენგურის გადაცურვა, დე ფაქტო ,,საზღვრის დამრღვევს", რის გამოც საბოლოოდ ჯანმრთელობა გაუუარესდა და გარდაიცვალა, ბებიამაც ვერ გაუძლო ამდენ უბედურებას, ისიც იმავე წელს გარდაიცვალა.

მეორე კლასამდე ზუგდიდში ვცხოვრობდით, მერე საცხოვრებლის პრობლემა შეგვექმნა, მე და დედა წავედით თბილისში. ბებიასთან (დედის მხრიდან) და დეიდასთან ბაგების საერთო საცხოვრებელში გავაგრძელეთ ცხოვრება.

აფხაზეთში თითქმის ყოველ ზამთარ-ზაფხულ მალულად დავდიოდი, მამასთან ერთად. ის აფხაზეთში დარჩა, თან სახლს უვლიდა, მუშაობდა და შემდეგ სოფელ დარჩელში სახლი შეიძინა. 13 წლისა ვიყავი, როცა მამას ჯანმრთელობის პრობლემები გაუმწვავდა.

მასთან ერთი თვე გავატარე, (ეს ჩვენი ერთად ყოფნის უკანასკნელი ჟამი აღმოჩნდა) დედას წამოსვლა მოუწია, ცოტა ხანში მეც წამოვედი... მამა მალევე გარდაიცვალა. გადავედი ნაბაკევის სკოლაში, სადაც საზღვრის მალულად გადაკვეთით დავდიოდი.

მახსოვს მამას დაკრძალვის შემდეგ აფხაზეთში, შიშით მარტოც ბევრჯერ გადავპარულვარ საზღვარზე, თუმცა უკვე ამის მოხერხებაც ძნელია, შეუძლებელია ასეთი ხერხითაც სახლში მისვლა. ყველაზე სამწუხარო გრძნობაა, როდესაც საკუთარი მშობლის საფლავზე ვერ მიდიხარ, საკუთარ სახლ-კარს ნატრობ და ვერ მისულხარ, იმიტომ რომ იქ მტრის ნება ბატონობს.

საბოლოოდ, ცოტა სენტიმენტალური ნაწერი გამომივიდა, არ მიყვარს ასეთ თემებზე საუბარი, ბევრი მძიმე დეტალი არც ვახსენე და რაც დავწერე ალბათ იმიტომ, რომ ვიცი ჩემი სახელი არ იქნება მოხსენიებული.

მჯერა, აფხაზებთან შეიძლება ურთიერთობის დალაგება, მტერი აღარ ჩაერევა ჩვენს ურთიერთობაში. მახსოვს, თბილისში ცხოვრებისას დევნილთა საცხოვრებელში ერთი აფხაზი ბიჭი ცხოვრობდა დედასთან და ბაბუასთან ერთად. ეს ოჯახი ჩვენი ხშირი სტუმარი იყო. თბილისში 57-ე სკოლაში დავდიოდი, ის კი ჩემ გვერდით რუსულ სკოლაში, ამ ორ სკოლას შორის არის გეგეშიძის პარკი, სადაც კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლი დგას... ამ აფხაზ ბიჭს და მე იქ ერთად დიდი დრო გაგვიტარებია.

მეხუთე კლასში ვიქნებოდი. მახსოვს, ჩვენ ერთად მივდიოდით სკოლაში ავტობუსით, როდესაც წინ მჯდომმა მოხუცმა კაცმა გამომკითხა გვარი, სახელი და წარმომავლობა, გამომელაპარაკა, როგორც მოხუცებს ჩვევიათ ხოლმე. როცა გაიგო საიდან ვიყავი ძალიან დანაღვლიანდა. შემდეგ ჩემ გვერდით, ჩემს აფხაზ მეგობარს მიუბრუნდა და როდესაც იგივე კითხვა დაუსვა, ბიჭი დადუმდა. მახსოვს, ხმა არ ამოუღია და როცა ავტობუსიდან გავედით ვკითხე, თუ რატომ მოიქცა ასე. მიპასუხა, რომ აფხაზობის გამხელა ვერ გაბედა, ამიტომ არ უთხრა მოხუცს თავისი გვარი. ალბათ შიშნარევად ერიდებოდა გაცხადებას, რადგან არ იცოდა ვინ რას მოიმოქმედებდა ამის გაგებისას. ის დღე არა, მაგრამ კონკრეტულად ის ერთ- საათიანი მონაკვეთი დღევანდელივით ნათლად თვალწინ მიდგას...

ხშირად ვფიქრობ და მგონია, რომ დღევანდელ აფხაზსაც ეშინია და შიშნარევად ერიდება თავისი თავის გაცხადების, ჰგონიათ რომ

სხვა გზა აღარ აქვთ, რომ უკან დასაბრუნებელი გზა აღარ არსებობს, რომ ერთხელ ნებით თუ უნებლიეთ, წაქეზებით თუ მოტყუებით არჩეულ მტრობის გზას ბოლომდე უნდა გაჰყვნენ. ჩვენ უნდა ავუხსნათ, რომ არის სხვა გზა, მშვიდობის, სიყვარულის გზა და დავანახოთ ის, რადგან ეშინიათ სიმართლის, რომელსაც უკვე აცნობიერებენ და უფრო ვისი ეშინიათ, ეს ყველამ კარგად ვუწყით.

დავუბრუნდები ჩემი მეგობარი აფხაზის ამბავს: საბოლოოდ ის მამასთან დაბრუნდა აფხაზეთში. დიდი ხანია რაც იქაა, დროდადრო გვაქვს კონტაქტი და მაქვს მისგან სიტყვა, რომ მე მისთვის ყოველთვის სასიამოვნო და მისაღები სტუმარი ვიქნები. თუმცა არასდროს შევწყვეტ ბრძოლას იმისათვის, რომ აფხაზეთში ქართველი სტუმრად არ ითვლებოდეს და შევძლებთ კვლავ გამთლიანებას.

ბოლოს კი მოვიყვან კორნელიუ ზელეა კოდრეანუს ციტატას, რომლითაც, ჩემი აზრით, მოქმედებენ ჩვენი მტრები ჩვენს წინააღმდეგ: „ ნებისმიერს, ვისაც სურს დაიპყროს ერი, მიზნის მიღწევა შეუძლია შემდეგი მეთოდებით: გაწყვიტოს კავშირი ზეცასა და მიწას შორის, გააჩაღოს ძმათა შორის შუღლი და ომები, ხელი შეუწყოს ამორალურის და უდისციპლინობის გავრცელებას მატერიალური განადგურებით, სხეულის მოწამვლით, ლოთობით. ყოველივე ეს უფრო გაანადგურებს ერს, ვიდრე ათასობით ზარბაზნით თავდასხმა ან ამდენივე თვითმფრინავით დაბომბვა.“